პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის

განხორციელების ვადა: 01.02.2021 - 31.01.2025

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 3 000 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ები):
Konrad-Adenauer-Stiftung

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
https://csogeorgia.org/ge, asocireba.ge/learn/, http://e-learning.ge/, https://ctconline.ge/, csrgeorgia.com, probonogeorgia.ge, meliora.ge, cdrc.ge, momxmarebeli.ge , volunteer.ge, elearning.edec.ge, facebook.com/CSSIGE, facebook.com/Thiscountryisyours

პროექტის აღწერა:
სამოქალაქო საზოგადოება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. “სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა” მასშტაბური პროექტია, რომელიც ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესება, ინსტიტუციური, ორგანიზაციული და ოპერაციული შესაძლებლობების გაზრდა, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა, ფართო საზოგადოებასთან და დაინტერესებულ ჯგუფებთან კავშირების გამყარება, საზოგადოებრივი აქტივიზმისა და სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა.

პროექტის უმთავრესი მიზანია სამოქალაქო საზოგადოების, როგორც დამოუკიდებელი აქტორის განვითარება საქართველოში. პროექტი ფარავს ქვეყანაში მოქმედ აქტიურ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს (საქართველოს ყველა რეგიონში მოქმედ სხვადასხვა ზომის 800 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას, რომელიც მოიცავს 150 სათემო ორგანიზაციას, ასევე საინიციატივო ჯგუფებს და სხვა გაერთიანებებს). პროექტის სამიზნე ჯგუფია ახალგაზრდები და სამოქალაქო საზოგადოების მასწავლებლები (შესაბამისად, 3 000 და 6 000 ადამიანი), 5000-მდე სამოქალაქო აქტივისტი და მოქალაქეები მოწყვლადი ჯგუფებიდან. ასევე, ქვეყნის მასშტაბით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სამიზნეა დაახლოებით 200 ხელისუფლების წარმომადგენელი (სხვადასხვა დონეზე), 100 ბიზნეს გაერთიანება, 250 მედია წარმომადგენელი და 8 უნივერსიტეტი (კერძო და საჯარო). პროექტი ხელს უწყობს ზემოხსენებულ სამიზნე ჯგუფებს შორის

მოსალოდნელი შედეგები:
პროექტი მიზნად ისახავს ხუთი ძირითადი შედეგის მიღწევას:

პირველი, პროექტი მხარს უჭერს ხელისუფლებას შეასრულოს ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები და გააუმჯობესოს სამართლებრივი ბაზა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მდგრადი განვითარებისათვის, კერძოდ, გამჭვირვალე და სანდო საზოგადოებრივი დაფინანსების მიმართულებით.

მეორე, პროექტი პილოტირებს დაფინანსების ახალ მექანიზმებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ბიზნესს შორის სექტორთაშორისი პარტნიორობის გაძლიერების მიზნით, და ხელს უწყობს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის გაუმჯობესებას.

მესამე, პროექტი ზრდის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისადმი ნდობას და მათ აღიარებას სხვა დაინტერესებული მხარეებისა და ფართო საზოგადოების მხრიდან.

მეოთხე, პროექტი აძლიერებს სამოქალაქო საზოგადოების ცალკეული აქტორების შესაძლებლობებს ორგანიზაციული განვითარებისა და ოპერაციული საქმიანობის თვალსაზრისით.